პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2026 წლის _____ ივნისი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №20 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 29/08/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016593) და დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულის არეალში შემავალი ერთ - ერთი მიწის ნაკვეთის ქალაქი ბათუმი, თბილისის ქუჩა, შესახვევი N1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.34.29.022) განვითარება შესაძლოა განხორციელდეს სხვა სამართლებრივი გზით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების მიღების მიზანია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

აღნიშნული დადგენილებით განაშენიანების დეტალური გეგმა დამტკიცებულია თამარ მეფის გამზირზე (ს.კ. 05.34.23.776, 05.34.23.050, 05.34.23.072, 05.34.23.685, 05.34.23.777, 05.34.23.812, 05.34.23.914, 05.34.23.915, 05.34.29.022 (და 2 დაურეგისტრირებელი)) მიწის ნაკვეთზე.

დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილებების ინიციატორს წარმოადგენს თავად დამგეგმავი ორგანო მერია, ვინაიდან გეგმარებითი ერთეულის შემადგენლობაში შემავალი ერთ ერთ მიწის ნაკვეთზე თბილისის ქუჩა, შესახვევი, N1 - 05.34.29.022 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე დაგეგმილია მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით მუნიციპალურ პროგრამაში მონაწილეობა და ამ მიწის ნაკვეთის განვითარება სხვა სამართლებრივი გზით, დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში და აისახოს, რომ გეგმარებითი ერთეულის შემადგენლობაში შემავალი მიწის ნაკვეთის განვითარება ხორციელდება მუნიციპალური პროგრამის განხორციელების პროგრამაში ჩართვის გზით.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2023 წლის 25 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანა

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო:

არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **არჩილ გირკელიძე**